მომხმარებლის სახელმძღვანელო

ფენ-ჯაგრისი
DHB-29

DEXP

სარჩევი

მოწყობილობის დანიშნულება **4**

უსაფრთხოების ზომები **4**

ტექნიკური მახასიათებლები **5**

კომპლექტაცია **5**

მოწყობილობის სქემა **6**

საცმები **7**

ექსპლუატაციის ინსტრუქცია **8**
პირველად გამოყენებამდე 8
ექსპლუატაცია 8
სტაილინგი (დაყენება) მოცულობის მისაცემი საცმით 9
თმის დახვევა 9

გაწმენდა და მოვლა **9**
თვითწმენდა 9
ფილტრის გაწმენდა 10
მოვლა 10

შესაძლო პრობლემები და მათი გადაწყვეტა **10**

მონტაჟის, შენახვის, გადაზიდვის (ტრანსპორტირების), რეალიზაციისა და უტილიზაციის წესები და პირობები **11**

დამატებითი ინფორმაცია **12**

ძვირფასო მომხმარებელო!

მადლობას გიხდით ჩვენი პროდუქციის არჩევისთვის.
სასიხარულოა შემოგთავაზოთ ნაწარმი და მოწყობილობები, რომლებიც შემუშავებული და დამზადებულია ხარისხის, ფუნქციონალურობისა და დიზაინის მაღალი მოთხოვნების შესაბამისად. ექსპლუატაციის დაწყებამდე ყურადღებით წაიკითხეთ წინამდებარე სახელმძღვანელო, რომელშიც მოცემულია მნიშვნელოვანი ინფორმაცია თქვენს უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, ასევე რეკომენდაციები პროდუქტის სწორად გამოყენებისა და მოვლისთვის. იზრუნეთ წინამდებარე სახელმძღვანელოს შენარჩუნებაზე და გამოიყენეთ იგი, როგორც საცნობარო მასალა ნაწარმის შემდგომი ექსპლუატაციისას.

მოწყობილობის დანიშნულება

ფენ-ჯაგრისი განკუთვნილია თმის გაშრობისა და სტაილინგისთვის სახლის პირობებში.

უსაფრთხოების ზომები

- ყურადღებით წაიკითხეთ ეს სახელმძღვანელო მოწყობილობის გამოყენებამდე და შეინახეთ შემდგომი მიმართვისთვის.
- მოწყობილობის კვების წყაროსთან დაკავშირებამდე დარწმუნდით, რომ თქვენი სახლის ელექტროქსელის პარამეტრები შეესაბამება მის ტექნიკურ მახასიათებლებს.
- არ გამოიყენოთ ეს მოწყობილობა წყლის წყაროების უშუალო სიახლოვეს. არასოდეს მოათავსოთ მოწყობილობა წყლის ჭავლის ქვეშ და ნუ ჩაძირავთ მას წყალში.
- ნუ გამოიყენებთ მოწყობილობას სააბაზანო ოთახში, ნიჟარისა და წყლით სავსე ნებისმიერი სხვა ჭურჭლის სიახლოვეს.
- ნუ შეეხებით მოწყობილობას, შტეფსელს და/ან კვების კაბელს სველი ხელებით.
- ფენის მუშაობისას არ შეასხუროთ აეროზოლები.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა ხელოვნური თმისა და პარიკების სტაილინგისთვის.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი ბავშვებისა და შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირების მიერ გამოსაყენებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მათზე ზედამხედველობას ახორციელებენ მათი უსაფრთხოებისთვის პასუხისმგებელი სხვა პირები. არ მისცეთ ბავშვებს მოწყობილობით თამაშის უფლება.
- არ გამოიყენოთ რაიმე საცმები, გარდა მოწოდების კომპლექტში შემავლებისა.
- ნუ გამოიყენებთ მოწყობილობას კვების კაბელის, შტეფსელის ან სხვა ნაწილების დაზიანების შემთხვევაში. ყურადღება მიაქციეთ, რომ კვების კაბელი ან შტეფსელი არ შეეხოს ცხელ ზედაპირებს.
- მოწყობილობის ქსელიდან გამორთვისას შტეფსელს ხელით დაეჭირეთ, არასოდეს მოქაჩოთ კაბელზე.
- ელექტროშოკის თავიდან ასაცილებლად ნუ გააგრძელებთ კვების კაბელს.
- ნუ გადაადგილებთ მოწყობილობას კვების კაბელით და ნუ შემოახვევთ მას მოწყობილობას.
- გამორთეთ მოწყობილობა კვების ქსელიდან, როცა ის არ გამოიყენება, ასევე გაწმენდისას ან გაუმართაობის აღმოჩენისას.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა აირის ან სხვა ადვილად აალებადი ნივთიერებებისა და საგნების სიახლოვეს.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა შენობის გარეთ.

- ნუ დატოვებთ ჩართულ მოწყობილობას უყურადღებოდ.
- ფენის გადახურების თავიდან ასაცილებლად ნუ დაფარავთ ჰაერის შემშვების ხვრელებს.
- ნუ შეეცდებით მოწყობილობის შეკეთებას, რეგულირებას ან ნაწილების შეცვლას. შესაკეთებლად მიმართეთ ავტორიზებულ სერვისცენტრს.
- მოერიდეთ თმის უშუალო კონტაქტს ჰაერის შემშვებთან.
- არ დაუშვათ მტვრისა და ბუსუსის დაგროვება ჰაერის შემშვების ფილტრზე.
- არ დაუშვათ მაღალი ტემპერატურების ან მზის პირდაპირი სხივების ხანგრძლივი ზემოქმედება მოწყობილობაზე. მოერიდეთ მოწყობილობის გადახურებას.
- მოწყობილობის მუშაობისას მისი საცმები ძლიერ ხურდება. არ შეეხოთ ცხელ ნაწილებს.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი კომერციული მიზნებით გამოსაყენებლად.


ტექნიკური მახასიათებლები

- მოდელი: DHB-29.
- სავაჭრო ნიშანი: DEXP.
- კვების პარამეტრები: 220–240 ვ ~ 50–60 ჰც.
- მოწყობილობის სიმძლავრე: 1500 ვტ.
- ძრავა: BLDC.
- სიჩქარეების რაოდენობა: 3.
- ტემპერატურული რეჟიმების რაოდენობა: 3 (60 °C, 77 °C, 95 °C).
- საცმების მასალა: სითბოგამძლე პლასტმასი.
- იონიზაცია: დიახ.
- მოსახსნელი ფილტრი: დიახ.
- თვითწმენდის ფუნქცია: დიახ.
- ცივი ჰაერის მიწოდება: დიახ.
- ელექტროშოკისგან დაცვის კლასი: II.
- ტენისა და მტვრისგან დაცვის კლასი: IPX0.
- მბრუნავი კვების კაბელი: დიახ.
- კვების კაბელის მიმაგრების ტიპი: Y.
- კვების კაბელის სიგრძე: 2,5 მ.
- გამოყენების სფერო: საყოფაცხოვრებო.

კომპლექტაცია

- მოწყობილობა.
- საცმები (8 ც):
  - საცმები თმის დასახვევად: 30 მმ, 2 ც, მარცხნივ და მარჯვნივ დასახვევი.
  - საცმი თმის გასაშრობად.
  - საცმი ურჩი თმისთვის.
  - დიდი სავარცხელი.
  - პატარა სავარცხელი.
  - საცმი-ბრაში.
  - მოცულობის მისაცემი საცმი.
- შესანახი ჩანთა.
- ხელთათმანი.
- ფილტრის გასაწმენდი ჯაგრისი.
- მომხმარებლის სახელმძღვანელო.

მოწყობილობის სქემა



1. ჰაერის გამოსასვლელი ხვრელი.
2. საცმების ფიქსაციის გადამრთველი.
3. სიჩქარის არჩევის ღილაკი.
4. ტემპერატურის / ცივი ჰაერის მიწოდების არჩევის ღილაკი.
5. კვების გადამრთველი.
6. სახელური.
7. ჰაერის შემშვები ხვრელები ფილტრით.
8. ფილტრის სახურავი.
9. კვების კაბელი.

საცმები



1



2



3



4



5



6



7



8

1. საცმი-სავარცხელი.
2. საცმი-ბრაში თმის ბოლოების მოსახვევად.
3. დიდი ბრაში მოცულობის მისაცემად.
4. საცმი ურჩი თმის დასალაგებლად.
5. საცმი ლოკონების მარცხნივ დასახვევად (დიამეტრი 30 მმ).
6. საცმი ლოკონების მარჯვნივ დასახვევად (დიამეტრი 30 მმ).
7. დიდი საცმი-სავარცხელი.
8. კონცენტრატორის საცმი თმის გასაშრობად.


ექსპლუატაციის ინსტრუქცია

პირველად გამოყენებამდე

1. დარწმუნდით, რომ მოწყობილობის კომპლექტაცია სრულია.
2. მოაცილეთ ყველა შესაფუთი მასალა.
3. სრულად გაშალეთ კვების კაბელი.

ექსპლუატაცია

1. დარწმუნდით, რომ კვების გადამრთველი «O» მდგომარეობაშია (გამორთულია).
2. დააყენეთ საჭირო საცმი ფენ-ჯაგრისზე და ოდნავ მოატრიალეთ იგი. დარწმუნდით, რომ საცმების ფიქსაციის გადამრთველი «🔓» მდგომარეობაში ჩადგა.
   შენიშვნა: საცმის მოსახსნელად გადაიყვანეთ ფიქსაციის გადამრთველი «🔓» მდგომარეობაში და, ამ მდგომარეობაში დაჭერით, მოხსენით საცმი.



3. დააკავშირეთ მოწყობილობა კვების ქსელთან.
4. მოწყობილობის ჩასართავად გადაიყვანეთ კვების გადამრთველი «I» (ჩართულია) მდგომარეობაში.
5. სასურველი სიჩქარის დასაყენებლად დააჭირეთ სიჩქარის არჩევის ღილაკს «». ინდიკატორების შესაბამისი რაოდენობა აინთება ლურჯი ფერით:
   - ●○○: დაბალი;
   - ●●○: საშუალო;
   - ●●●: მაღალი.
6. სასურველი ტემპერატურის დასაყენებლად დააჭირეთ ტემპერატურის / ცივი ჰაერის მიწოდების არჩევის ღილაკს «/». ინდიკატორების შესაბამისი რაოდენობა აინთება წითელი ფერით:
   - ○○○: ცივი ჰაერი;
   - ●○○: დაბალი (60 °C);
   - ●●○: საშუალო (77 °C);
   - ●●●: მაღალი (95 °C).

   შენიშვნა: ფენის სხვა ტემპერატურაზე გამოყენებისას შეგიძლიათ ცივი ჰაერის მიწოდება იძულებით ჩართოთ. ამისთვის დააჭირეთ და გეჭიროთ ღილაკზე «/». ღილაკის გაშვების შემდეგ მოწყობილობა ავტომატურად დაუბრუნდება წინა ტემპერატურას.
7. გამოყენების დასრულების შემდეგ გადაიყვანეთ კვების გადამრთველი «O» მდგომარეობაში (გამორთულია).
8. გამორთეთ მოწყობილობა ქსელიდან.
9. მოათავსეთ ფენი სითბოგამძლე ზედაპირზე და მიეცით სრულად გაცივების საშუალება, სანამ შესანახად მოაცილებთ.

შენიშვნა: მოწყობილობა აღჭურვილია მეხსიერების ფუნქციით — მომდევნო ჩართვისას ავტომატურად აირჩევა სიჩქარისა და ტემპერატურის წინა პარამეტრები.

სტაილინგი (დაყენება) მოცულობის მისაცემი საცმით

1. მოცულობის მისაცემი საცმის გამოყენებით, შეასრულეთ 1–6 ნაბიჯები განყოფილებიდან „ექსპლუატაცია“.
2. გაყავით თმა თანაბარ ზოლებად (დალალებად) — დაახლოებით 5 სმ სიგანისა და სისქის.
3. ერთი ხელით დაიჭირეთ ფენი, ხოლო მეორეთი — თმის ზოლი.
4. ნელა და ფრთხილად გაატარეთ საცმიანი ფენი თმის ძირებიდან ბოლოების მიმართულებით. საუკეთესო შედეგის მისაღწევად, დარწმუნდით, რომ თმა ღრმად ხვდება საცმის ჯაგრისებს შორის და ახლოსაა ჰაერის გამოსასვლელ ღიობთან.
   ყურადღება! არ გაიჩეროთ ფენი თმაზე ზედმეტად დიდხანს მისი დაზიანების თავიდან ასაცილებლად.
5. გაიმეორეთ იგივე მოქმედება დანარჩენ ზოლებზეც.
6. დაელოდეთ თმის გაგრილებას, სანამ შეუდგებით მის შემდგომ სტაილინგსა (დაყენებას) და გასწორებას.

თმის დახვევა

1. თმის დასახვევი საცმის გამოყენებით, შეასრულეთ 1–6 ნაბიჯები განყოფილებიდან „ექსპლუატაცია“.
2. დაელოდეთ, სანამ საცმი გაცხელდება.
3. ერთი ხელით დაიჭირეთ ფენი, ხოლო მეორეთი — დაახვიეთ თმის ზოლი (სიგანით არაუმეტეს 5 სმ) საცმზე და დააკავეთ ამ მდგომარეობაში 5–8 წამის განმავლობაში.
   ყურადღება! არ გაიჩეროთ ფენი თმაზე ზედმეტად დიდხანს მისი დაზიანების თავიდან ასაცილებლად.
4. იგივე გაიმეორეთ თმის სხვა ნაწილებზე.
5. დაელოდეთ თმის გაგრილებას, სანამ შეუდგებით მის შემდგომ სტაილინგს (დაყენებას).

გაწმენდა და მოვლა

თვითწმენდა

მოწყობილობას აქვს თვითწმენდის ფუნქცია, რომელიც საშუალებას გაძლევთ ფილტრიდან გამოაბეროთ მტვერი და სხვა დაბინძურება.
ყურადღება! ეს ფუნქცია ზედიზედ ორჯერ ან მეტჯერ ნუ ჩართავთ. ამან შეიძლება დააზიანოს მოწყობილობის ძრავა.

1. გამორთეთ მოწყობილობა კვების გადამრთველის «O» მდგომარეობაში (გამორთულია) გადაყვანით.
2. თვითწმენდის ფუნქციის გასააქტიურებლად ერთდროულად დააჭირეთ და გეჭიროთ ღილაკებზე «🚿» და «🕯/✠» 3 წამის განმავლობაში.
3. მოწყობილობა იმუშავებს 10 წამის განმავლობაში მაქსიმალური სიჩქარით და ავტომატურად გამოირთვება.

ფილტრის გაწმენდა

ყურადღება!

ფილტრის გაწმენდა ყოველთვიურად ჩაატარეთ, რათა თავიდან აიცილოთ მოწყობილობის გადახურება და გაახანგრძლივოთ მისი მომსახურების ვადა.

- მოხსენით ჰაერის შემშვების სახურავი. გაწმინდეთ ფილტრი რბილი დანესტიანებული ქსოვილით, შემდეგ მშრალი ქსოვილით. საჭიროების შემთხვევაში გამოიყენეთ ჯაგრისი.
- დარწმუნდით, რომ ფილტრი და მისი სახურავი სრულიად მშრალია, შემდეგ დახურეთ ფილტრი სახურავით.

შენიშვნა: თუ მოწყობილობა დიდხანს არ გამოიყენება, შესაძლოა ფილტრის ხელით გაწმენდა გახდეს საჭირო.

მოვლა

- გაწმენდამდე გამორთეთ მოწყობილობა ქსელიდან და მიეცით გაციების საშუალება.
- გაწმინდეთ მოწყობილობის ზედაპირი რბილი დანესტიანებული ქსოვილით, შემდეგ მშრალი ქსოვილით.
- ყოველი გამოყენების შემდეგ მოაცილეთ თმა ფენსა და მის საცმებს.
- შეინახეთ მოწყობილობა მშრალ ადგილას.

შესაძლო პრობლემები და მათი გადაწყვეტა

პრობლემა	აღწერა
ძაბვის მომატებისგან დაცვა	გააქტიურებულია ძაბვის მომატებისგან დაცვა: მოწყობილობა ავტომატურად გამოირთვება
« 🌡/❄» ○○●	
დაბალი ძაბვისგან დაცვა	გააქტიურებულია დაბალი ძაბვისგან დაცვა: მოწყობილობა ავტომატურად გამოირთვება
« 🌡/❄» ●○●	
ტემპერატურა დაყენებულზე მაღალია	თუ NTC-თერმისტერით გაზომილი ტემპერატურა დაყენებულზე მაღალია, მოწყობილობა ავტომატურად დაარეგულირებს გამომავალ სიმძლავრეს

მონტაჟის, შენახვის, გადაზიდვის (ტრანსპორტირების), რეალიზაციისა და უტილიზაციის წესები და პირობები

- მოწყობილობა არ საჭიროებს რაიმე მონტაჟს ან მუდმივ ფიქსაციას.
- მოწყობილობის შენახვა უნდა განხორციელდეს შეფუთვაში, მწარმოებელსა და მომხმარებელთან, ჰაერის ტემპერატურაზე 5 °C-დან 40 °C-მდე და ჰაერის ფარდობითი ტენიანობისას არაუმეტეს 80%. სათავსოებში არ უნდა იყოს კოროზიის გამომწვევი აგრესიული მინარევები (მჟავა, ტუტე ორთქლი).
- მოწყობილობის გადაზიდვა უნდა განხორციელდეს მშრალ გარემოში.
- მოწყობილობა მოითხოვს ფრთხილ მოპყრობას; დაიცავით იგი მტვრის, ჭუჭყის, დარტყმების, ტენიანობის, ცეცხლის და ა.შ. ზემოქმედებისგან.
- მოწყობილობის რეალიზაცია უნდა განხორციელდეს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად.
- ნაწარმის მომსახურების ვადის ამოწურვის შემდეგ მისი გადაგდება ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო ნაგავთან ერთად აკრძალულია. ამის ნაცვლად ის უნდა ჩაბარდეს ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების მიღების შესაბამის პუნქტს შემდგომი გადამუშავებისა და უტილიზაციისთვის ფედერალური ან ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად. ამ პროდუქტის სათანადოდ უტილიზაციით, თქვენ ხელს უწყობთ ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებას და თავიდან აცილებთ გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობისთვის ზიანს, რაც შესაძლებელია არასათანადო მოპყრობისას. ამ პროდუქტის მიღებისა და უტილიზაციის პუნქტების შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ ადგილობრივ მუნიციპალურ ორგანოებში ან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის საწარმოში.
- მოწყობილობის გაუმართაობის აღმოჩენისას დაუყოვნებლივ მიმართეთ ავტორიზებულ სერვისცენტრს ან უტილიზაცია გაუკეთეთ მოწყობილობას.

დამატებითი ინფორმაცია

მწარმოებელი: გუანდუნ რომან ტექნოლოჯი კო., ლტდ.
№18, სინგუანის გზატკეცილი, ჩჟანმუტოუ, ქ. დუნგუანი, გუანდუნის პროვ., ჩინეთი.

დამზადებულია ჩინეთში.

Manufacturer: Guangdong Roman Technology Co., Ltd.
No.18, Xinguang Road, Zhangmutou Town, Dongguan City, Guangdong Province, P.R. China.

იმპორტიორი საქართველოში:
შპს არგო ელექტრონიქს ს/კ 405791674 საქართველო,
ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 47, სადარბაზო 1, 1-2 სართული.
ელექტრონული ფოსტის მისამართი: info@dns-shop.ge

საქონელი შეესაბამება TP TC (ЕАЭС) მოთხოვნებს.

სპეციფიკაციები, პროდუქტის შესახებ ინფორმაცია და მისი იერსახე შეიძლება შეიცვალოს მომხმარებლისთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე, ჩვენი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

საქონელი დამზადებულია (თვ.წწწწ): _____ V.1

საგარანტიო ტალონი

SN/IMEI: _____

გარანტიაზე აყვანის თარიღი: _____

მწარმოებელი უზრუნველყოფს მოწყობილობის შეუფერხებელ მუშაობას მთელი საგარანტიო ვადის განმავლობაში, ასევე მასალებსა და აწყობაში დეფექტების არარსებობას. საგარანტიო ვადა აითვლება ნაწარმის შეძენის მომენტიდან და ვრცელდება მხოლოდ ახალ პროდუქტებზე.

საგარანტიო მომსახურება მოიცავს იმ ელემენტების უფასო შეკეთებას ან შეცვლას, რომლებიც მწყობრიდან გამოვიდა მომხმარებლის ბრალის გარეშე საგარანტიო ვადის განმავლობაში, ნაწარმის მომხმარებლის სახელმძღვანელოს შესაბამისად ექსპლუატაციის პირობით. ელემენტების შეკეთება ან შეცვლა ხორციელდება უფლებამოსილი სერვისცენტრების ტერიტორიაზე.

საგარანტიო ვადა: 24 თვე.
ექსპლუატაციის ვადა: 24 თვე.

საგარანტიო ვალდებულებები და უფასო სერვისული მომსახურება არ ვრცელდება ქვემოთ ჩამოთვლილ აქსესუარებზე, რომლებიც საქონლის კომპლექტაციაში შედის, თუ მათი შეცვლა არ არის დაკავშირებული ნაწარმის დაშლასთან:

- კვების ელემენტები (ბატარეები) დისტანციური მართვის პულტისთვის.
- შემაერთებელი კაბელები, ანტენები და მათი გადამყვანები, ყურსასმენები, მიკროფონები, „HANDS-FREE“ მოწყობილობები; სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო მატარებლები, კომპლექტში მოწოდებული პროგრამული უზრუნველყოფა და დრაივერები (მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, ნაწარმის მყარ მაგნიტურ დისკებზე წინასწარ დაყენებული პროგრამული უზრუნველყოფა), გარე შეყვანა-გამოყვანის მოწყობილობები და მანიპულატორები.
- ქეისები, ჩანთები, ღვედები, სატარებელი თასმები, სამონტაჟო მოწყობილობები, ინსტრუმენტები, ნაწარმზე დართული დოკუმენტაცია.
- ხარჯვადი მასალები და ნაწილები, რომლებიც ბუნებრივ ცვეთას ექვემდებარება.

მწარმოებელი არ ცნობს საგარანტიო ვალდებულებებს შემდეგ შემთხვევებში:

- საგარანტიო ვადის ამოწურვა.
- თუ ნაწარმი, რომელიც განკუთვნილია პირადი (საყოფაცხოვრებო, საოჯახო) საჭიროებებისთვის, გამოიყენებოდა სამეწარმეო საქმიანობისთვის, ასევე სხვა მიზნებისთვის, რომლებიც არ შეესაბამება მის უშუალო დანიშნულებას.
- მწარმოებელი პასუხს არ აგებს ნაწარმის მფლობელისა და/ან მესამე პირების მიერ მიღებულ შესაძლო მატერიალურ, მორალურ და სხვა ზიანზე, რომელიც გამოწვეულია გამოყენებისას მომხმარებლის სახელმძღვანელოს მოთხოვნების დარღვევით, ნაწარმის მონტაჟისა და მომსახურების რეკომენდაციების, დაკავშირების წესების (მოკლე ჩართვები, რომლებიც ასევე წარმოიშვა შეუსაბამო ქსელური ძაბვის ზემოქმედების შედეგად, როგორც თავად ნაწარმზე, ისე მასთან ერთად მომუშავე ნაწარმზე), ნაწარმის შენახვისა და ტრანსპორტირების წესების დაუცველობით.
- მექანიკური დაზიანების ყველა შემთხვევა: ჩამოტეხილობები, ბზარები, დეფორმაციები, დარტყმის კვალი, ჩაღრმავებები, ჩაჭყლეტები და სხვ., რომლებიც მიღებულია ნაწარმის ექსპლუატაციის პროცესში.
- არის გარეშე პირის მიერ შეტანილი ცვლილებების, ასეთი სამუშაოების ჩასატარებლად არაუფლებამოსილი პირების მიერ არასანქცირებული შეკეთების კვალი. თუ დეფექტი გამოწვეულია ნაწარმის კონსტრუქციის ან სქემის შეცვლით, მწარმოებლის მიერ გაუთვალისწინებელი გარე მოწყობილობების დაკავშირებით, ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად შესაბამისობის სერტიფიკატის არმქონე მოწყობილობის გამოყენებით.
- თუ ნაწარმის დეფექტი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური მოვლენების, ხანძრების, წყალდიდობების, მიწისძვრების, საყოფაცხოვრებო ფაქტორებისა და მწარმოებლისგან დამოუკიდებელი სხვა სიტუაციების) ზემოქმედებით, ან მესამე პირების ქმედებებით, რომელთა წინასწარ განჭვრეტა მწარმოებელს არ შეეძლო.
- დეფექტი გამოწვეულია ნაწარმის შიგნით უცხო საგნების, უცხო სხეულების, ნივთიერებების, სითხეების, მწერების ან ცხოველების მოხვედრით, აგრესიული გარემოს, მაღალი ტენიანობის, მაღალი ტემპერატურების ზემოქმედებით, რამაც გამოიწვია ნაწარმის სრული ან ნაწილობრივი მწყობრიდან გამოსვლა.
- ნაწარმის იდენტიფიკაცია (სერიული ნომერი) არ არსებობს ან არ შეესაბამება. თუ დაზიანებები (ნაკლოვანებები) გამოწვეულია მავნე პროგრამული უზრუნველყოფის ზემოქმედებით; პაროლების (კოდების) დაყენებით, შეცვლით ან წაშლით, რამაც გამოიწვია ნაწარმის პროგრამულ რესურსებზე წვდომის არარსებობა, მათი გადატვირთვის/აღდგენის შესაძლებლობის გარეშე, პროგრამული უზრუნველყოფის მომწოდებლის მიერ ამ სერვისის არმიწოდების გამო.
- თუ მუშაობის დეფექტები გამოწვეულია კვების, საკაბელო, სატელეკომუნიკაციო ქსელების სტანდარტებთან ან ტექნიკურ რეგლამენტებთან შეუსაბამობით, რადიოსიგნალის სიმძლავრით, მათ შორის რელიეფის თავისებურებებისა და სხვა მსგავსი გარე ფაქტორების გამო, ნაწარმის ქსელის მოქმედების ზონის საზღვარზე ან მის გარეთ გამოყენებით.
- თუ დაზიანებები გამოწვეულია არასტანდარტული (არაორიგინალური) და/ან უხარისხო (დაზიანებული) ხარჯვადი მასალების, აქსესუარების, სათადარიგო ნაწილების, კვების ელემენტების, სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო მატარებლების (მათ შორის CD, DVD დისკების, მეხსიერების ბარათების, SIM-ბარათების, კარტრიჯების) გამოყენებით.
- თუ ნაკლოვანებები გამოწვეულია შეუთავსებელი კონტენტის (მელოდიები, გრაფიკა, ვიდეო და სხვა ფაილები, Java აპლიკაციები და მათი მსგავსი პროგრამები) მიღებით, ინსტალაციითა და გამოყენებით.
- ამ ნაწარმთან ერთად მომუშავე სხვა მოწყობილობისთვის მიყენებულ ზიანზე.

